

მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის განსაზღვრა სატელიტური  
მონაცემებით (მდინარე წაღვრისხევის მაგალითზე)

**ნიკა წითელაშვილი**

ელ.ფოსტა: [nika.witelashvili@ens.tsu.edu.ge](mailto:nika.witelashvili@ens.tsu.edu.ge);

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

თანამედროვე პერიოდში როგორც სამეცნიერო ისე საპროექტო ჰიდროლოგიურ ანგარიშებში აქტიურად გამოიყენება სატელიტური მონაცემები, რომელსაც უწყვეტი დაკვირვების რიგი აქვს. მისი გამოყენება სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს იმ მდინარეებისათვის, რომლებიც არ არის ჰიდროლოგიურად შესწავლილი, მსგავსი მდინარეები კი საკმაოდ ბევრია როგორც საქართველოში ისე მსოფლიო მასშტაბით.

დღეის მდგომარეობთ საქართველოში, შეუსწავლელი მდინარისათვის საშუალო მრავალწლიური ხარჯის განსაზღვრა ხდება საქართველოს ტერიტორიისათვის სპეციალურად დამუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც მოცემულია მონოგრაფიაში „საქართველოს წყლის ბალანსი“ (ლ.ვლადიმროვი და სხვ, 1974), რომელშიც საქართველო ჰიდროლოგიური რაიონებადაა დაყოფილი და ყველა რაიონისათვის გამოყვანილია ჩამონადენის ფენა, რომელიც დამოკიდებულია ზღვის დონიდან საშუალო სიმაღლეზე. აღნიშნული მონაცემები კი მიღებულია რაიონში არსებული ჰიდროლოგიური საგუშაგოების დაკვირვების მიხედვით სადაც ბოლო დაკვირვებული ციფრი 1968 წლით თარიღდება.

საკვლევი მიზნიდან გამომდინარე, რომელიც მოაიზრებს არსებული თეორიული მეთოდების და ახალი სატელიტური მონაცემების შედარებას ერთ კონკრეტული მდინარისათვის, რათა დავინახო მათ შორის არსებული განსხვავებები და მიზეზები იმისა თუ რატომ განსხვავდება აღნიშნული ერთმანეთისაგან, აუცილებელია სატელიტური მონაცემების კალიბრაცია მიწისზედა ნალექის მზომი საგუშაგოს მონაცემების გამოყენებით. მაგალითისათვის შერჩეულია ის მდინარე, რომელსაც ისტორიულად არ ჰქონდა ჰიდროლოგიური დაკვირვება, მაგრამ მის წყალშემკრებ აუზში დღესაც გრძელდება მოსული ატმოსფერული ნალექების გაზომვა და პროცესების მონიტორინგი.